ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3233394

ნომერი: AR1495100

თარიღი : 12.04.2017

გაცემის თარიღი : 18.05.2017

გაცნობის თარიღი : 18.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ზაქარია ქურდიანის , N 12 , (ყოფ. ჩერნიშევსკის ქუჩა N12) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ტოროტაძე პ/ნ 01026000310
- თბილისი, მილორავას ქ.6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 12 აპრილს #AR1495100 განცხადებით მომართა ვახტანგ ტოროტაძემ და მოითხოვა სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით, ქალაქი თბილისში, ზაქარია ქურდიანის ქუჩა N 12 (ყოფ. ჩერნიშევსკის ქუჩა N12) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.027.023 ფართობი: 185 კვ.მ) ინდივიდუალური

ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით დამტკიცებულიმიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას კერძოდ, საპროექტო ობიექტად ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ნაცვლად სასტუმროს დაფიქსირებას და ფუნქცია/დანიშნულებად საყოფაცხოვრებოს დაფიქსირებას.
საკითხი განიხილა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს“ და “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2017 წლის 20 აპრილის სხდომაზე და მიეცა დადებითი შეფასება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული ცვლილებების განხორციელება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს სასტუმრო. ფუნქცია/დანიშნულებად: საყოფაცხოვრებო;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 15 მაისის N1-1096 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 19 მაისის №1899582 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.